ხაშურის მოამბე

№18(342) 25 მაისი, ოთხშაბათი, 2022 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების საპილოტე პროექტი იწყება

საწყის ეტაპზე,პროექტი სურამში,ქვიშხეთსა და ცხრამუხაში განხორციელდება. ადგილობრივ ბიუჯეტში პროექტისთვის 300 000 ლარია გამოყოფილი, საიდანაც მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, სურამში 152 921 ლარი, ცხრამუხაში - 73 739 ლარი, ხოლო ქვიშხეთში 73 340 ლარი დაიხარჯება.

დღეს,მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს წევრები - საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი მოადგილეებთან ლევან გამრეკელთან,ცოტნე ნოზაძესთან და ნოდარ ლომიძესთან ერთად, ასევე მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე, საბიუჯეტო და იურიდიული სამსახურების ხელძღვანელები ლელა მაჭარაშვილი და დავით ღვალაძე სურამის, ცხრამუხის და ქვიშხეთის მოსახლეობას შეხვდნენ, სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროცედურები დეტალურად გააცნეს და შეკითხვებს უპასუხეს.

აღსანიშნავია,რომ საპროექტო იდეების მიღება უკვე დაწყებულია და აქტიურად მიმდინარეობს.

მოქალაქეთა თხოვნით, საპროექტო იდეების მიღების ვადა 20 მაისის ჩათვლით გახანგრძლივდა.

საპროექტო იდეის წარმოდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია 14 წლის ასაკიდან, გარდა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისა და საკრებულოს წევრებისა.

საპროექტო იდეები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, გადავა კენჭისყრის ეტაპზე, სადაც გამარჯვებული პროექტი ფარული ხმის მიცემით გამოვლინდება.

გამარჯვებული პროექტის ავტორი ჩაერთობა პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე.

საპროექტო იდეების წარმოდგენა შესაძლებელია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში, ასევე ქვიშხეთში, სურამსა და ცხრამუხაში მერის წარმომადგენლების ოფისებში, ან მერიის ელექტრონულ ფოსტაზე: info@khashuri.gov.ge

სააპლიკაციო ფორმები ხელმისაწვდომია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში,ასევე ქვიშხეთში,სურამსა და ცხრამუხაში მერის წარმომადგენლების ოფისებში,ასევე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ გვერდზე: khashuri.gov.ge

მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის ნებაყოფლობითი, უნივერსალური და უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის პროცესი, რომლის საშუალებითაც ხალხი აწარმოებს დიალოგს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. მოქალაქეები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრთა არჩევნებით, არამედ უშუალო მონაწილეობას იღებენ საბიუჯეტო პრიორიტეტების დადგენისა და სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლის პროცესებში.

- ისტორიული ქრონიკები -

თავისუფლებიდან ---თავისუფლებამდე

1918 წლის 26 მაისი საქართველოს ისტორიის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია. თარიღი, როდესაც საქართველომ შეძლო, კიდევ ერთხელ, მართალია მცირე ხნით, თავისუფლების მოპოვება. რაც ჩვენი ბრძოლის და რაც მთავარია, ჩვენი დამპყრობელი სახელმწიფოს დასუსტების და დაშლის შედეგად მოხდა. მაგრამ რუსეთის სახელმწიფომ მალე მოახერხა მოდერნიზება, მომძლავრება და კვლავ შეძლო იმპერიის აღდგენა თითქმის ძველ საზღვრებში.

ზემოთ ჩამოყალიბებული ფორმულა მეორდება დღესაც, თუ რა იქნება ახლო მომავალში, ძნელი სათქმელია, ერთი კი ნათელია, რომ ჩვენ მსოფლიო პროცესებზე ზემოქმედების ძალიან უმნიშვნელო, ან არავითარი ბერკეტი არ გაგვაჩნია და გვაქვს მხოლოდ ამ პროცესების სწორი შეფასების და მასში ჩვენი სამომავლო ადგილის განსაზღვრის საშუალება, ისე, რომ არაფერი დავკარგოთ და, თუ შესაძლებელია, მოგებაც ვნახოთ.

ამ წერილით მინდა, კიდევ ერთხელ ზოგადად გავიხსენო ჩვენ რაიონში გასული საუკუნის ოთხმოციან წლეში განვითარებული მოვლენები და პიროვნებები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის აქტიურად იბრძოდნენ .

საბჭოთა სახელმწიფომ, თავისი მკაცრი რეპრესიული პოლიტიკის საშუალებით შეძლო გაენადგურებინა, მათი პოზიციით, სეპარატისტული განწყობები იმპერიის ფარგლებში. მაგრამ შეუძლებელი იყო ამ განწყობის სრული მოსპობა, რადგან ქართველებისათვის მუდამ დმოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ისტორიული მოცემულობაა და ქართველის გენეტიკურ კოდშია ჩადებული.

საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა რომ მისთვისვე დამღუპველი იყო, კარგად გამოჩნდა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როდესაც ნათელი გახდა სოციალისტური წყობის, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური სისუსტები და ნელ-ნელა დაიწყო სისტემის რღვევა. შესაბამისად, გაძლიერდა ეროვნული განწყობების გამომჟღავნება. პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება ქართველებისათვის იყო 1978 წლი 14 აპრილი, როდესაც იმპერია იძულებული გახდა უკან დაეხია და ქართულმა ენამ შეინარჩუნა სახელმწიფო ენის სტატუსი. ამ გამარჯვებამ მძლავრი მუხტი მისცა ეროვნული მოძრაობის განვითარებას, მიუხედავად სახელმწიფოს მცდელობისა, გამოჩდენ ახალი ეროვნულად მოაზროვნე ლიდერები. ოთხმოციანი წლების დასაწყისში ყველას პირზე ეკერა ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, თამარ ჩხეიძის სახელები, იქმნებოდა იატაკქვეშა ჯგუფები და პარტიები, იყო ანტისახელმწიფოებრივი პროკლამაციების გავრცელების მცდელობა. მაგრამ, ჯერ კიდევ ფეხზე მყარად მდგარი, საბჭოთა კავშირი ახერხებდა ამ გამოვლინებების ჩახშობას, რეპრესიული მეთოდების საშუალებით, თუმცა, მუხტი კიდევ უფრო ძლიერდებოდა.

ხაშურის რაიონში, ამ პერიოდში, ეროვნული ძალები თავს იყრიდნენ ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, მისი დირექტორის, თამაზ ლაცაბიძის გარშემო. სწორედ აქ იკრიბებოდა ის ხალხი, რომლებმაც შემდეგ შექმნეს, რაიონში მოქმედი, თითქმის ყველა პარტია და საზოგადოება.

ეროვნული ძალების გააქტიურება განსაკუთრებით მოხდა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლის იუბილის აღნიშვნის პერიოდში. ჩვენს რაიონში გიორგი ცხვედაძემ სცადა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ფილიალის შექმნა, მაგრამ უშედეგოდ.

პირველი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც შეიქმნა ხაშურის



რაიონში იყო სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ხაშურის ორგანიზაცია, რაც 1988 წლის 16 დეკემბერს მოხდა. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი თამაზ ლაცაბიძე, ხოლო გამგეობის წევრებად მურად მთვარელიძე, მერი ადეიშვილი, გიორგი გოგოლაძე, კლიმენტი სუთიაშვილი, ციცინო ბურნაძე, შოთა ჯიბუტი, ეკა ბაქრაძე, გიორგი ლობჟანიძე, ალექსანდრე ელიაშვილი, ოთარი ხაჩიძე, დალი ტატიშვილი, რევაზ ქაფიანიძე, მაყვალა ხაჩიძე.

ამავე პერიოდში დაიწყო პირველი მიტინგების ჩატარებაც, კერძოდ, 1988 წლის 20 ნოემბერს ხაშურელი სტუდენტების ერთი ჯგუფის ინიციატივით ჩატარდა პირველი სანქცირებული მიტინგი ხაშურის საგალანტერიო ფაბრიკის სააქტო დარბაზში, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ხვიჩა შავიძე და გიორგი ყველაშვილი.

რუსთაველის საზოგადოების ინიციატივით, 1989 წლის 8 თებერვალს, მაშტაბურად აღინიშნა დავით აღმაშენებლის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის 900 წლისთავი.

ამ ეტაპზე სახელმწიფო ჯერ კიდევ ცდილობდა საზოგადოებრივი აქტიურობა თავისი გავლენისათვის დაექვემდებარებინა, პარტიის ხაშურის რაიკომი სხვადასხვა ღონისძიებებით ცდილობდა პროცესების მართვას, ამისი კარგი მაგალითია რკინიგზის ხაშურის 25-ე (მე-9 საჯარო) სკოლაში განვითარებული მოვლენები. აღმოჩნდა, რომ აქტიური სტუდენტების დიდი ნაწილი ამ სკოლის კურსდამთავრებული იყო და სკოლის მოსწავლეებშიც საკმაოდ ძლიერი იყო ანტისაბჭოური განწყობები. რაიკომმა გადაწყვიტა ამ „ფენომენის“ შესწავლა და რეაგირება. საბოლოოდ, სამსახურიდან გაანთავისუფლეს ამ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ღვაწლმოსილი, ხანდაზმული პედაგოგი ნინო მახათაძე, რაც მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა.

აშკარა იყო, რომ ხელისუფლებას პროცესების მართვა უფრო და უფრო უჭირდა, როგორც მოსალოდნელი იყო, მან ცადა ძალის გამოყენებით დაელაგებინა სიტუაცია და მოხდა 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენები, რამაც სათავე დაუდო, მთელი კავშირის მაშტაბით, სისტემის საბოლოო ჩამოშლის დაწყებას. 9 აპრილის მოვლენებში მონაწილეობდნენ ხაშურელი ახალგაზრდებიც. ამ ტრაგედიამ შეძრა მთელი საქართველო, ხაშურში 11 აპრილს გაიმართა დიდი მიტინგი, 18 მაისს, ქალაქის ცენტრში, კინოთეატრ „რუსთაველთან“, შიმშილობა დაიწყო ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა. მათ შიმშილობა შეწყვიტეს, როდესაც დაკმაყოფილდა ძირითადიდი მოთხოვნა, გაანთავისუფლეს 9 აპრილის ტრაგედიის შემდაგ დაპატიმრებული ლიდერები.

უკვე სიტუაციის კონტროლი შეუძლებელი იყო და კომუნისტურმა ხელისუფლებამ ცადა სიტუაციისადმი ადაპტირება. მაგრამ უშედეგოდ.

აქ მინდა ჩამოვთვალო ის პარტიები, ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები რომლებიც ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობდნენ, ეგრეთ წოდებული „არაფორმალები“:

„ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინების პარტია“--- თავმჯდომარე გიორგი ცხვედაძე. გამგეობის წევრები ზურაბ გოგრიჭიანი, მამია ჩადუნელი.

„ ეროვნული- დამოუკიდებლობის პარტიის ხაშურის ფილიალი“-- თავმჯდომარე აქვსენტი გოგალაძე, მთავარი კომიტეტის წევრები ალიკო ღონღაძე, მალხაზ გოგოლაძე, თამაზ ლომიძე, ზურაბ მესხი.

„ საქართველოს ქრისტიან- დემოკრატიული ახალგაზრდობის ასოციაციის ხაშურის ფილიალი“---თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი კობა ახალკაცი.

„ ხაშურის რეგიონალური სახალხო ფრონტი“---- თავმჯდომარე ალექსანდრე ელიაშვილი, გამგეობის წევრები კლიმენტი სუთიაშვილი, ოთარ ცერიაშვილი.

„ჰელსინკის კავშირის ხაშურის ორგანიზაცია“--თავმჯდომარე ტარას კილაძე, გამგეობის წევრები: ალექსანდრე კაკიაშვილი, ომარ(გია) ღამბაშიძე, ვხტანგ ლაცაბიძე, გივი იმერლიშვილი, გურამ პაპიძე, დავით ჩადუნელი.

„წმინდა ილია მართლის საზოგადოების ხაშურის ორგანიზაცია“-თავმჯდომარე როინი ხვედელიძე.

„ დავით აღმაშენებლის საზოგადოების ხაშურის რაიონული ორგანიზაცია“-- თავმჯდომარე მურთაზ ლიპარტელიანი.

„ღვთის შვილთა კავშირი“ ინვალიდთა ასოციაცია“.

9 აპრილის შემდეგ უკვე აშკარა გახდა რომ საბჭოთა იმპერია აუცლილებლად დასრულდებოდა, მხოლოდ დრო იყო საჭირო. იგი ვეღარ შეძლებდა შიდა პრობლემების მოგვარებას გაზრდილი საერთაშორისო ზეწოლის პირობებში.

ხელისუფლება იძულებული გახდა მიეღო საქართველოს მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონი. არჩევნები 1990 წლის 30 ოქტომბრისათვის დაინიშნა.

ამავე პერიოდში. ეროვნული ძალების ერთმა ნაწილმა, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ინიციატივით, ჩაატარა ეროვნული კონგრესის არჩევნები. ეს იყო პირველი სერიოზული განხეთქილება ეროვნულ მოძრაობაში, რამაც შემდეგ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა.

უზენაესი საბჭოს არჩევნებზე, პროპორციულ ნაწილში, უპირობოდ გაიმარჯვა საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა- თავისუფალი საქართველო“, ხოლო ხაშურის რაიონის საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატებიდან მეორე ტურში გავიდნენ გივი იმერლიშვილი –„მრგვალი მაგიდა- თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის წარმომადგენელი და როლანდ მულაძე „საქართველოს კომუნისტური პარტიის“ წარმომადგენელი.

არჩევნების მეორე ტური 1990 წლის 11 ოქტომბერს ჩატარდა. მაჟორიტარი დეპუტატი ხაშურის რაიონიდან გახდა გივი იმერლიშვილი. რომელიც მოგვიანებით დაინიშნა ხაშურის რაიონის პრეფექტის თანამდებობაზე. ხოლო 1991 წლის 9 აპრილს, ხაშურის რაიონის სახელით, ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

საქართველომ მოიპოვა, მართლაც რომ ნანატრი თავისუფლება. შემდეგ განვითარებული მოვლენები,--სამოქალაქო ომი, ომები ცხინვალსა და აფხაზეთში, დაკარგული ტერიტორიები, ლტოლვილები, უცხოეთში გადახვეწილი უამრავი ადამიანი, გაურკვეველი ხვალინდელი დღე, ეს ის ფასია, რომელსაც ვიხდით თავისუფლებისათვის, გეოპოლოტიკური გადანაწილების ქარცეცხლში მოხვედრილები.

დავით ჩადუნელი,

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის

წიგნადი ფონდების მცველი

„თანასწორობისთვის“ ესაა სახელწოდება ახალი პროექტისა, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და „ხაშურის მოამბის“ რედაქციის ერთობლივი მონაწილეობით განხორციელდება. პროექტი მოიცავს სტატიების ციკლს, რომელშიც უფრო ახლოს გაგაცნობთ ჩვენს თანაქალაქელ საინტერესო ადამიანებს მათივე ცხოვრებისეული ისტორიებით. ვფიქრობთ, აუცილებელიცაა უფრო მეტად წარმოჩნდნენ ის პიროვნებები, რომლებიც მონაწილეობენ ჩვენი მუნიციპალიტეტის პოლიტიკურ,კულტურულ და საზოგადოებრივ სფეროებში და ღრმა კვალს ტოვებენ. პროექტის იდეა და არსი სწორედ ესაა. დღეს პირველ სტუმარს ვმასპინძლობთ, კაცს, რომელსაც ქართულ-უკრაინული ურთიერთობებისა და მეგობრობის გაღრმავებაში საკმაოდ წონადი წვლილი აქვს შეტანილი.

ხაშურის „საპატიო ელჩი“ უკრაინაში

„შენ სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ - შენი ერის დესპანი, რადგან შენი საქციელი შინ შენი ოჯახის სახეა და გარეთ - შენი ერის!”- უნებლიე პარალელს ვავლებ ჭაბუა ამირეჯიბის ცნობილი რომანის გმირის ამ სიტყვებსა და ადამიანს შორის, რომელსაც არა მარტო საქართველოში, ქვეყნის გარეთაც კარგად ცნობენ.

განა ბევრი გვყავს ქართველი,რომელიც უკრაინის საპატიო მოქალაქე,მრავალი მედლისა და ორდენის მფლობელია? ქართველ და უკრაინელ ხალხთა შორის მეგობრობაში შეტანილი პირადი წვლილი დააფასა უკრაინელმა ხალხმა. მინიჭებული აქვს უკრაინის სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის II და III ხარისხის ორდენები (2007, 2012 წლები); დაჯილდოებულია ნოვოგრად-ვოლინსკის ორდენით -„ზვიაგელ“ (2006 წელი); ლესია უკრაინკას სამშობლოს - უკრაინის საპატიო მოქალაქე (2009); აირჩიეს როვნოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად (2013); 2021 წელს, ლესია უკრაინკას 150 წლისთავთან დაკავშირებით, დააჯილდოვეს ლესია უკრაინკას საიუბილეო მედლით. კიდევ ორი სახელმწიფო ორდენი აკლია ამ ჩამონათვალს, რომელზეც ბატონი ტარიელი 2016 და 2020 წლებში იყო წარდგენილი და გარკვეული მიზეზებისა გამო ვერ მიიღო.

ტარიელ გოგოლაძე დაიბადა სურამში, 2002-2003 წლებში იყო ხაშურის რაიონის ასოცირებული საკრებულოს თავმჯდომარე, უფრო ადრე, 1996 -2007 წლებში არჩეული იყო სურამის გამგებლად და საკრებულოს თავმჯდომარედ. 2007 წლიდან ლესია უკრაინკას საზოგადოების თავმჯდომარეა საქართველოში. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ფიქრი ლესიაობის დღესასწაულის აღდგენაზე, რომელიც სურამში ყოველწლიურად, შემოდგომაზე აღინიშნება. უკრაინელმა პოეტმა ქალმა ლესია უკრაინკამ (ლარისა კოსაჩმა), სიცოცხლის უკანასკნელი დღეები დაბა სურამში გაატარა. მას ეკუთვნის სიტყვები, რომლებიც დღესაც მოწოდებასავით გაისმის: „მე რომ უკრაინელი არ ვიყო, ვისურვებდი

ქართველი ვყოფილიყავი“. ლესიაობის დღესასწაულის აღნიშვნა 1952 წლის 3 აგვისტოდან იღებს სათავეს, გიორგი ლეონიძის ინიციატივით, როდესაც საზეიმოდ გაიხსნა თამარ აბაკელიას მიერ შესრულებული ლესიას ძეგლი, მისი სახელობის მუზეუმი, ბიბლიოთეკა და ქუჩა. ამავე დღეს, უკრაინის მთავრობის დადგენილებით, მირგოროდის სასაფლაოზე საფუძველი ჩაეყარა დიდი პოეტის დავით გურამიშვილის ძეგლს.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, 1994 წელს, საქართველოსა და უკრაინას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდეგ, პირველი ელჩი, რომელმაც სახლ-მუზეუმი მოინახულა, ანატოლი კასიანენკო გახლდათ. უფრო მჭიდრო ურთიერთობა დელეგაციების ურთიერთგაცვლის აღდგენაზე დაიწყო 2003 წლიდან, სტეპან ვოლკოვეცკის ელჩობის პერიოდში. ამ წელს უშუალოდ ლესიას სამშობლოდან ჩამოვიდა წარმომადგენლობა, ხოლო 2004 წელს ხაშურიდან უკრაინაში გაემგზავრა პირველი დელეგაცია, 1988 წლის შემდეგ. იყო არაჩვეულებრივი დახვედრა და მასპინძლობა, რომლითაც უკრაინელებმა ლამის ქართველებსაც კი აჯობეს, - იხსენებს ბატონი ტარიელი.

როგორც ლესია უკრაინკას საზოგადოების თავმჯდომარე, უკრაინის საელჩოსთან ერთად ორგანიზებას უწევს ნებისმიერ ღონისძიებას, რომელიც უკრაინასა და მოძმე ხალხთან ურთიერთობას ეხება. მისი აქტიური ჩართულობით ტარდება „ლესიაობის“ დღესასწაული, თუ დელეგაციის მიღება - გაგზავნა, დამოუკიდებლობის დღეების აღნიშვნა, პოპულარიზაციას უწევს ლესია უკრაინკას შემოქმედებას, ისევე როგორც უკრაინაში უყვართ და აფასებენ დავით გურამიშვილს. ბატონი ტარიელი განსაკუთრებით ამაყობს ფაქტით, რომ მისი რეკომენდაციით და უშუალო დახმარებით, 100-ზე მეტმა ქართველმა ახალგაზრდამ დაამთავრა უკრაინის სხვადასხვა სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბაკალავრი, მაგისტრატურა, რეზიდენტურა, დოქტორანტურა) მათ შორის ლუგანსკის, დონეცკის, მარიუპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტები. რამდენიმე წელია მისი ინიციატივით დაიწყო ზრუნვა ლესია უკრაინკას სახლ-

მუზეუმის აღდგენაზე, რომელიც 2014 წელს უკრაინაში საომარმა მოვლენებმა შეაფერხა და 2020 წლიდან განახლდა.

- 3 აგვისტოს, სახლ-მუზეუმის გახსნიდან საიუბილეო 70 წელი სრულდება. შარშან რესტავრაცია გაუკეთდა სურამში ლესია უკრაინკას ძეგლის კვარცხლბეკს, წელს მიმდინარეობს ძეგლის გარშემო სკვერის კეთილმოწყობა ადგილობრივი ბიუჯეტით, დიდი მადლობა ამისათვის ბატონ თენგიზ ჩიტიაშვილსა და ქალბატონ ნინო ლიპარტელიანს. შენდება ლესია უკრაინკას ახალი ორსართულიანი მუზეუმი, ორ ერს შორის მეგობრობის კერა, რომლის კარკასი უკვე მზადაა. საქართველოს კულტურის სამინისტრომ 400 ათასი ლარი კიდევ გამოჰყო მშენებლობისათვის, გამარჯვებული გამოვლინდა 4 მაისს, უახლოეს დღეებში გაგრძელდება ლესიას მუზეუმის მშენებლობა, დიდი მადლობა კულტურის სამინისტროს და საქართველოს მთავრობას. - აღნიშნავს ტარიელ გოგოლაძე.

ტარიელ გოგოლაძე, როგორც ხიდი ორ ერს შორის მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის, დღემდე მეგობრულ ურთიერთობას აგრძელებს უკრაინის ყველა ელჩთან. არ წყდება სატელეფონო ზარები. დღეს უკრაინა განსაცდელშია, შეგროვდა ჰუმანიტარული ტვირთი, მედიკამენტები და ფულადი დახმარება. ვისთვის იქნებ უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ მე გმირობად მიმაჩნია, ის, რომ თვითონ ინსულინდამოკიდებულმა, უკრაინელებს ინსულინის ათეულობით დოზა გაუგზავნა. დევნილი ადამიანები შეიფარა და ოჯახები მის გარშემო დღესაც გამოთქვამენ საამისოდ მზადყოფნას. უკრაინელ და ქართველ ხალხთა შორის გადებულ მეგობრობის ხიდს ვერანაირი პროპაგანდა, დეზინფორმაცია და მტრობა ვერ შეარყევს, როდესაც ასეთი ადამიანები, თავის ლამაზ ოჯახთან ერთად, არიან ამ მეგობრობის სათავეში.

და ერთიც: როგორც ბატონი ტარიელი ამბობს, გვჯერა, უკრაინა და მასთან ერთად მთელი ცივილიზებული სამყარო გაიმარჯვებს ამ უთანასწორო ბრძოლაში.

ირინა გოგიტაური

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20, 21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17)

იგივე „კომუნისტი“, 17 მარტს, ხაშურში შექმნილ მდგომარეობაზე წერდა: „ჩასვლისთანავე ხაშურში აწყდებით საშინელ სურათს. უკან დახევის დროს მენშევიკებს დაუნგრევიათ როგორც რკინიგზა, ისე თვით ქალაქი ხაშური. წაუყვანიათ მთელი ორთქლმავალები და აგრეთვე ის ორთქმავლებიც, რომლებიც რემონტზე იდგა და რომლის დაძვრა შეიძლებოდა. იმ ორთქლმავლებიდან, რომლის დაძვრა ვერ მოუხერხებიათ, მოუხსნიათ „არმატურა“ და სპილენძის ნაწილები. დეპო განადგურებულია. არ შეიძლება ამას დაარქვა ევაკუაცია, ვინაიდან რის გატანაც კი შეიძლებოდა და მოუსწრიათ, გაუტანიათ, დანარჩენი კი დაულეწიათ. ბოლო ხანებში ვარვარინოდან (სად ლიხი – თ.ლ.) ჩამოიყვენეს 17 ორთქმავალი, ამათში ოთხი ვარგისი, დანარჩენი კი საჭიროებენ სერიოზულ და სრულ შეკეთებას. მაგიდებიდან ამოჭრილია და წაღებულია მაუდები და კლიონკები, ტელეფონების და ტელეგრაფების აპარატები მოხსნილია, დანარჩენი აპარატები კი დამტვრეულია, ელექტროსადგური განადგურებულია, სადგური და დეპო გაუნათებელია. საქონლის და ინსტრუმენტის მაღაზია, მოსამსახურეთა და უბანთა კანტორები დაცარიელებულია. ვერ ნახავთ ვერცერთ ნაგლეჯ ქაღალდს და საკანცელარიო საჭიროების საგანს. დეპოდან ყველა რემნები წაღებულია, ასე რომ დეპოს ასამუშავებლად საჭიროა 300 არშინი რემენი. არ დაუტოვებიათ არც „პაიალნიკი“. მემანქანეებს აძლევდნენ ოც-ოცი ათას მანეთს თითო ორთქლმავალის გატანაში, მაგრამ მსურველნი ძლიერ ცოტა აღმოჩენილან, რის გამოც მენშევიკებს მიუმართავთ ძალისთვის. მუშა-მოსამსახურეთა შორის არავინ ყოფილა მუშაობის გაგრძელების მსურველნი“.

რატომღაც, წერილის ავტორს ავიწყდება, რომ საქართველო საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ის, რასაც ხაშურზე წერს ჩვეულებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო ასეთ დროს. მით უმეტეს ერთ-ერთი უკანასკნელი ბრძოლები მოწინააღმდეგესთან სწორედ აქ გაიმართა და უკან დახევის მომენტში მტერს ყველაფერი წესრიგში არ დახვდებოდა.

დაცარიელებულ ხაშურს თანდათან დაუბრუნდა მოსახლეობა, ახალმა ხელისუფლებამ შეძლო თანდათან მოეპოვებია მათში ნდობა. ეს პირველ ხანებში, მერე კი ხელისუფლების მიმართ მოსახლეობაში უფრო შიშის გრძნობამ იმძლავრა, რაც 1921 წლის თებერვლის შემდეგ ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვიეს.

მანამდე კი ხაშურში, ისევე როგორც საქართველოს სხვა ქალაქებში, იმართება ახალი ხელისუფლების მხარდასაჭერი მიტინგები და დემონსტრაციები, მისი მონაწილეები ღებულობდენ რეზოლუციებს, აგზავნიდნენ მისალოც წერილებს რუსეთსა და საქართველოს საბჭოთა მთავრობის სახელზე.

ხაშურში და მის რაიონში ახალი, მანამდე უცნობი ცხოვრება იწყებოდა, რომელიც ჩვენს ისტორიაში საბჭოთა პერიოდის სახელითაა ცნობილი.

ხაშური XX საუკუნის 20-30-იან წლებში

ხაშურში მე-11 წითელი არმიის ნაწილების შემოსვლისთანავე, 5 მარტს,- შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი გრამიტონ მოწონელიძის ხელმძღვანელობით. თავდაპირველად კომიტეტი მთელი რიგი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. საჭირო იყო უმოკლეს ვადაში დაეძლია საბჭოთა რუსეთის მიერ ქვეყნის ოკუპაციის პერიოდში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, გადაეჭრა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხი, წესრიგი დაემყარებინა რკინიგზის ტრანსპორტის ადგილობრივ დაწესებულებებში და სხვა. რევკომისა და ადგილობრივი ბოლშევიკებისათვის განსაკუთრებით რთული იყო მოსახლეობაში, რომელიც გუშინ მხარდაჭერასა და თანაგრძნობას უცხადებდა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას, გამართლება მოეძებნათ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული ინტერვენციისა და ოკუპაციისათვის, ქართველი ბოლშევიკების მიერ ქვეყნისათვის გაწეული „სამსახურისთვის“, რადგან მოსახლეობაში დიდი გავლენა ჰქონდა ანტისაბჭოთა პარტიებს – სსდმპ (მენშევიკები), ეროვნულ-დემოკრატებს, სოციალ-ფედერალისტებს და სხვებს. მართლა, საქართველო დამოუკიდებლობის სტატუსს ინარჩუნებდა, იქმნებოდა იმის ილუზია, რომ ერთი ხელისუფლება შეიცვალა მეორე ხელისუფლებით, მაგრამ ეს ყველაფერი ფიქტიური, მოჩვენებით იყო. საქართველოს ხელისუფლება, როგორც საბჭოთა, ასევე პარტიული, მთლიანად ემორჩილებოდა რუსეთის მთავრობასა და კომპარტიას. საქართველოს ვითომ დამოუკიდებლობას მართლია სცნობდა რუსეთი 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულებით, დამოუკიდებლობა აღიარებული იყო 1922 წლის მარტში მიღებული საქართველოს სსრ კონსტიტუციითაც, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ირონიას იწვევდა.

თავდაპირველად სათანადო ყურადღება ექცეოდა ისეთ მნიშვნელოვან თარიღს, როგორიც იყო 26 მაისი, - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. გასაბჭოების პირველსავე წელს ხაშურში, ამჯერად ბოლშევიკებმა, დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს ეს დღე. 25 მაისს მუშათა კლუბში გაიმართა კრება, „ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ნატოროვმა. რომელმაც განმარტა 26 მაისის დღესასწაულის მნიშვნელობა. ორატორი მქუხარე ტაშით დაჯილდოებულ იქნა“, მაგრამ კრებამ მაინც ასეთი შინაარსის რეზოლუცია მიიღო: „ჩვენ, ხაშურის დეპოს მუშები, ვაღიარებთ, რომ ნამდვილი დამცველი მუშათა ინტერესებისა არის საბჭოთა მთავრობა. ამიტომ, ვიღებთ რა მხედველობაში ზემოთხსენებულს, ვაცხადებთ, რომ ჩვენ მუდამ ვიქნებით დამცველნი მუშათა და გლეხთა მთავრობისა და აქტიურად შევებრძოლებით ყველა იმ კონტრრევოლუციონურ და პროვოკაციულ ძალებს, რომლებიც კი მოინდომებენ საბჭოთა ხელისუფლების შელახვას. გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას! გაუმარჯოს მსოფლიოს პროლეტარულ რევოლუციას და მის ხელმძღვანელთ ლენინს, ტროცკის, ცხაკაიას და სხვა!“.

ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე შეიქმნა სათემო კომიტეტები (ალი, გომი, ხცისი, ქვიშხეთი, სურამი, ხაშური). ხაშურის თემში გაერთიანებული იყო სოფლები: ცხრამუხა, ოსიაური, ლუბრუმა, აზარმა, ჭანკოტაძეები, კლდისწყარო, პატარა ახალსოფელი და სხვა.

ახალი ცხოვრების ავანგარდში ხაშურელი ბოლშევიკები იდგნენ. გაზეთი „კომუნისტი“ სათანადოდ აფასებდა მათ ღვაწლს, იწონებდა რაიონში გაწეულ მათ საქმიანობას: „ძველ არალეგალურ პირობებშიც კი, როდესაც კომუნისტური ორგანიზაციები სუსტი იყო,–წერდა იგი 1921 წლის 21 აპრილს, - მაიშინ ხაშურის ორგანიზაცია ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო ორგანიზაციად მთელ საქართველოში. მასში ყოველთვის ერთიანდებოდა უღარიბესი გლეხი და პროლეტარიატი, და ამიტომაც ხაშურის ორგანიზაცია საუკეთესო მომზადებული შეხვდა წითელი არმიის შემოსვლას, ნიადაგი ამისთვის წინდაწინვე მზად იყო. დღევანდელი ჩვენი მუშაობა მიმართული არის ძველი ორგანიზაციების აღდგენაზე, მის არასასურველ ელემენტებიდან გაწმენდაზე. ხაშურის რაიონში, რომელიც აერთიანებს დაახლოებით 30 სოფელს, ხაზგასმით შეიძლება აღინიშნოს რომ პარტიული მუშაობა დგას თავის სიმაღლეზე.“

1921 წლის 21 აპრილს გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „რევკომის მუშაობასაც არა უშავს. მან უკვე შექმნა ყველა საჭირო დაწესებულებები“.

კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა რაიონში რევკომების ორგანიზაციულ დაფუძნებას და მათ მუშაობას. აფუძნებდა პარტიულ ორგანიზაციებს. დიდ ყურადღებას აქცევდა მოსახლეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას „რევკომების ორგანიზაციის მოწყობა, რომელსაც უმთავრესი ყურადღება ქონდა მიქცეული ჩვენ მიერ, უკვე დამთარებულია... დღეს ამ რაიონში არც ერთი სოფელი არ მოიპოვება ისეთი, რომ იქ ჩვენი ორგანიზაცია არ იყოს მოწყობილი. ხშირათ იმართება პარტიული კრებები, რომელზედაც ირჩევა საჭირბოროტო კითხვები. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვაწყობდით პარტიულ ორგანიზაციებს და რევკომებს, ამასთანავე ერთად ჩვენ მიერ დიდი ყურადღება ქონდა მიქცეული კულტურულ-განმანათლებელ მუშაობასაც. ამ მხრივ პარტიულ ორგანიზაციას დიდი ენერგიის დახარჯვა დასჭირდა, იმიტომ რომ მთელი სასწავლებლების, თეატრების და სხვა კულტურული დაწესებულებების მუშაობა მოშლილი იყო. ამიტომ რაიკომის ნაბიჯი იყო კულტ-განმანათლებლის ორგანოს შექმნა, რაც უკვე ფაქტია და მუშაობა მიმდინარეობს კარგად. აღდგა ყველა სასწავლებლები, იმართება სპექტაკლები და მიტინგები რეგულარულათ. სულიერი განწყობა გლეხების კარგია, უკმაყოფილოს ვერ შეხვდებით და ამიტომაც ორგანიზაციას ბევრი ახალი წევრები აწყდება. იმართება გლეხთა მიტინგები პარტიის ინიციატივით, სადაც გამოაქვთ მისასალმებელი რეზოლუციები“.

მოსახლეობაში ახალი ხელისუფლებისადმი განწყობის შეხვლას ემსახურებოდა ხაშურში და არამარტო აქ, გამართული მიტინგები, რომლებსაც რეგულარული ხასიათი ჰქონდა მიცემული 20-იანი წლების პირველ ნახევარში.

ერთ-ერთი ასეთი პირველი მიტინგი 12 მარტს გაიმართა. გაზეთ „კომუნისტში“ ნათქვამია:

„მიხაილოვის რაიონის მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელიც შესდგა 12 მარტს აღფრთოვანებული წითელი არმიის შემოსვლით და მტარვალთა ტახტის დანგრევით, მიესალმება მუშათა და გლეხთა მთავრობას და უსურვებს მას თავის მიერ დაწყებული საქმის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრებას. ჩვენ მიხაილოვის უღარიბესი გლეხობა მზად ვართ აღმოვუჩინოთ ყოველივე დახმარება და ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ჩვენი საქმის განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს წითელ, მსოფლიო მუშათა კლასის არმიას და მის ხელმძღვანელებს.

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!”

იმავე დღეებში გაუმართავთ მიტინგი ხაშურელ რკინიგზელებსაც:

„მიხაილოვოს რაიონის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება მიესალმება საქართველოს ახალგაზრდობას, წითელ არმიას, მის ხელმძღვანელებს და აღუთქვამს ყოველივე დახმარების აღმოჩენას მთელი თავისი ცოცხალი ძალით არსებული მთავრობის განმტკიცებისთვის. მიიღეთ მუშური სალამი მიხაილოვოდან.

გაუმარჯოს ახალ მუშათა და გლეხთა მთავრობას!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

2 აპრილს კვლავ გაიმართა რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი კრება, რომელმაც შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „როგორც დღეს-დღეობით ჩვენს საბჭოთა მთავრობას უხდება ცუდ პირობებში მუშაობა, ჩვენ ხაშურის მუშა-მოსამსახურეები ყოველ ღონეს ვიხმართ მთავრობის დასახმარებლად, რომ ჩვენს მუშურ და გლეხურ მთავრობამ შეძლოს ამ კრიტიკულ მდგომარეობიდან სამუდამოდ განთავისუფლება.

გაუმარჯოს წითელ ჯარს!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას!

სამოღვაწეო ასპარეზზე თამამად გამოვიდნენ კომკავშირელებიც.

1921 წლის 1 აპრილს, ხაშურელი კომკავშირლების ინიციატივით, გაიმართა დიდი მიტინგი და დემონსტრაცია, რომელზედაც სათანადო შეფასება მიეცა მათ მონაწილეობას ხაშურში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთვის ბრძოლაში. „პირველი აპრილი მეტათ ღირსშესანიშნავი დღე არის ხაშურის პროლეტარული ახალგაზრდობის ცხოვრებაში. ამ დღეს ახალგაზრდობა მთელი თავისი ცოცხალი ძალებით გამოვიდა ქუჩაში. ახალგაზრდობასთან ერთად დაირაზმენ ამ დღეს მთელი ხაშურის რაიონის მცხოვრებნიც განურჩევლათ მიმართულებისა და ეროვნებისა. სუყველას სურს მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდობის დემონსტრაციაში. ქალაქს არაჩვეულებრივი ელფერი დაედო: ყველა მიეშურებოდა დანიშნული ადგილისაკენ. მიტინგს უერთდება სოფლიდან ჩამოსული ხალხი. დემონსტრაცია დაიძრა პარტიული შენობისკენ. ხაშურის კომენდანტის სამმართველოს წინ მიტინგს გახსნილად აცხადებს ამხ მოსე ცინცაძე. ილაპარაკეს შემდეგმა ორატორებმა: ამხ. ბუხნიკაშვილმა, პარტიის სახელით ამხ. ენუქიძემ, დეპოს მუშების სახელით ამხ. ებანოიძემ. გლეხების სახელით ამხ. ძაძამიამ. წითელი არმიის სახელით ამხ. იოფიმოვმა. ქალთა სახელით მეთერთმეტე დივიზიის თანამშრომელმა ამხ. ფილატოვამ. ახალგაზრდობის სახელით ამხ. სოგრატ ბაბლიძემ, კულპროსვეტის სახელით ამხ. კიკნაძემ, ცენტრალური კომიტეტის სახელით უკანასკნელ სიტყვას ამბობს ამხ. მოსე ცინცაძე. ყველა ორატორი აღნიშნავდა პროლეტარული ახალგაზრდობის დიდ როლს თანამედროვე რევოლუციაში.”

მიტინგი, დაახლოებით, დღის სამ საათზე დაიშალა.

თუმცა, იმავე დღეს, საღამოს, მუშათა კლუბში მოისმინეს მ. (1) ცინცაძის ლექცია. გაიმართა აგრეთვე კონცერტი, „ხალხი მრავლად დაესწრო, კლუბი გაჭედილია ხალხით. ყველას სურს ამ დიადი დღის აღნიშვნაში მიიღოს მხურვალე მონაწილეობა. ასე დიდი აღფრთოვანებით და ფართო მასის მონაწილეოით დამთავრდა პირველი აპრილი“

ახალგაზრდებმა მისასალმებელი წერილები გაუგზავნეს საქართველოს კპ (ბ) ცკსა და რევოლუციურ კომიტეტს:

„ჩვენ, ხაშურის პროლეტარული ახალგაზრდობა, – ნათქვამი იყო კომუნისტური პარტიის ცკ-ისადმი გაგზავნილ წერილში,–მივესალმებით კომუნისტურ პარტიას და ფიცს ვდებთ, რომ არ ვუღალატებთ იმ დროშას, რომელიც თქვენ ამაყად გიჭირავთ ხელში, ჩვენ მზად ვართ უკანასკნელი სისხლის წვეთამდის ვიბრძოლოთ კომუნისტურ პარტიასთან ერთად.

სალამი კომუნისტურ პარტიას და მის ხელმძღვანელებს ამხ. ფილიპე მახარაძეს და მიხა ცხაკაიას.

გაუმარჯოს მსოფლიოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტურ რევოლუციას!

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას!“

რევკომის სახელზე გაგზავნილ მისალმებაში ნათქვამი იყო: „ხაშურის რაიონის პროლეტარული ახალგაზრდობის მიტინგი... აღფრთოვანებული წითელი არმიის მიერ მტარვალთა და მუშათა კლასის მოღალატეთა ტახტის დანერგვით, მიესალმება სრულიათ საქართველოს რევოლუციონურ კომიტეტს, რომელიც გამომხატველია დაჩაგრული კლასის ინტერესებისა, უსურვებს მას დაწყებული საქმის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრებას.

გაუმარჯოს საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობას!

გაუმარჯოს წითელ არმიას და მის ძლევამოსილებას!“

რევკოვმა ხაშურში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, დაიწყო პირველი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც უმთავრესად მიზნად ისახავდა სოციალური პრობლემების გადაჭრასა და მოგვარებას.

1921 წლის 10 აპრილს რევკომის სხდომაზე უარყოფითი შეფასება მიეცა მენშევიკების სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას. ამავე დროს რევკომმა განიხილა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მდგომარეობის საკითხი. რადგან ცენტრი ხაშურის რაიონს ჯერ კიდევ ვერ უწევდა სათანადო დახმარებას სურსათით მომარაგების მხრივ, აღინიშნა რომ დიდი ყურადღება დათმობოდა ადგლობრივი რესურსების გამოვლენას. ამ მიზნით გლეხობას საშუალება ეძლეოდა სურსათი გაეტანა თავისუფალ ბაზრობაზე, რაც ნაწილობრივ გააუმჯობესებდა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას.

ამავე პრობლემის გადაჭრას ითვალისწინებდა ქვეყანაში დაწყებული აგრარული რეფორმა. მიუხედავად იმისა, რომ ხაშური სარკინიგზო კვანძი იყო და მოსახლეობა აქ იყო ძირითადად დასაქმებული, გლეხურ მეურნეობასაც დიდი ადგილი ეჭირა ქალაქის ცხოვრებაში.

„ნაკლებობა ემჩნევა სურსათს. აგრარული რეფორმა ტარდება ცხოვრებაში. ის არ იწვევს არავითარ საგრძნობ უკმაყოფილებას. გლეხები თვით ღებულობენ აქტიურად მონაწილეობას მის გატარებაში“.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტში გენდერული ბიუჯეტის დანერგვა იგეგმება

გენდერული ბიუჯეტირება ინოვაციური მიდგომაა,რაც გულისხმობს გენდერული თანასწორობის ასპექტების ჩართვას საბიუჯეტო პროცესში და საბიუჯეტო რესურსების ისეთ გადანაწილებას, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას ყველა სფეროში.

აღსანიშნავია, რომ გენდერული ბიუჯეტირება არ გულისხმობს ქალთა და მამაკაცთათვის განსხვავებული ბიუჯეტის შედგენას ან ბენეფიციართა დაყოფას გენდერულ ჭრილში, არამედ იგი წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესის იმგვარ ფორმირებას, რაც

გულისხმობს საბიუჯეტო სახსრების თანასწორად და ინკლუზიურად გადანაწილებას.

გენდერული ბიუჯეტირების პროცესში მუნიციპალიტეტს საექსპერტო დახმარებას უწევს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).

GIZ ექსპერტმა ნინო ლოლაძემ და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენელმა ანა მაგრაქველიძემ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისთვის გენდერული ბიუჯეტირების საკითხზე სამუშაო შეხვედრა ჩაატარეს.

შეხვედრას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მუნიციპალიტეტის მერიის

სამსახურების ხელმძღვანელები, საკრებულოს კომისიათა ხელმძღვანელები და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები.

შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ მეთოდოლოგიას, რაც მათ დაეხმარება, ბიუჯეტირების პროცესში განხორციელდეს პროგრამების გენდერული ანალიზი და განისაზღვროს შედეგების შეფასების ინდიკატორები, რაც სახელმწიფო რესურსების თანაბარი გადანაწილების კარგი საშუალებაა.

გენდერული ასპექტის გათვალისწინება განხილულია, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების ერთ-ერთი კომპონენტი, ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, როგორიცაა ინფრასტრუქტურის განვითარება, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დახმარებები, კულტურული და სპორტული პროგრამები და სხვ. აუცილებლად საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული კონკრეტული ცვლილებების შემუშავებას, - აღინიშნა შეხვედრაზე.

ხაშურში, ფულადი სოციალური დახმარების პროგრამით, 4 თვეში, უკვე 953-მა მოქალაქემ ისარგებლა

2022 წლის 4 თვეში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში 406 435 ლარი დაიხარჯა. პროგრამით მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულმა 953-მა მოქალაქემ ისარგებლა.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ მერიის ყოველწლიური სოციალური პროგრამის 22 მუხლის დახმარებით, რომელიც სხვადასხვა კატეგორიაზეა გათვლილი. დახმარების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2022 წელს პროგრამაში დამატებულია ახალი მუხლი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების შესახებ.

2022 წლის სოციალური პროგრამის ბიუჯეტი განსაზღვრულია 1 041 800 ლარის ოდენობით, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, საკრებულოს გადაწყვეტილებით დაფინანსება იზრდება წლის ბოლომდე, რათა პროგრამით გათვალისწინებული დახმარება ყველა ბენეფიციარმა მიიღოს.

ხაშურსა და სურამში ხიდების რეაბილიტაციისა და ფასადების განათების სამუშაოების ჩატარება იგეგმება

სამუშაოების ჩასატარებლად ტენდერი უკვე გამოცხადებულია. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 224 383 ლარია.

პროექტის ფარგლებში იგეგმება ხაშურში რუსთაველის, აღმაშენებლის, ტაბიძის და გოგებაშვილის ქუჩებზე არსებული ხიდების, ასევე დაბა სურამში ე.წ. „შავი ბოგირის“ სრული რეაბილიტაცია და განათება.

განათდება მერიის, სამუსიკო სკოლის, რკინიგზის სადგურის, კოსტავას ქუჩის მრავალბინიანი კორპუსების ფასადები, ასევე სურამის ციხე.

სატენდერო წინადადებების მიღება 2022 წლის 2 ივნისიდან დაიწყება.

- ახალი წიგნები -

„დროის კრიალოსანი“

შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები ვერ ისვენებენ, შემოქმედებითი მუზები არ აძლევენ მათ ამის საშუალებას, ისინი ყოველთვის და მუდამ ცდილობენ თავისი ხილვები სამზეოზე გამოტანონ და რაღაც ახლით მიიზიდონ მკითხველის ყურადღება.

ქალბატონი მაყვალა ხაჩიძის შემოქმედებას კარგად იცნობს საზოგადოება, ის მართლაც გვანებივრებს ახალ-ახალი წიგნებით და დღენიადაგ ცდილობს, ამ წიგნებში, თავისი ნაფიქრით გაასულიეროს წარმოსახული სამყარო, რომელიც მისი გონიერების სიფართოვეზე და სიცხადეზეა დამოკიდებული.

მისი შემოქმედება საიმისოდ არის შექმნილი,რომ არ დაივიწყოს არაფერი, რაც ეკუთვნის ყველას, ვინც რაიმე კვალი დატოვა ჩვენს ცხოვრებაში, წერს მათზე, ვინც აშენებს, ანგარიშობს, მოძრაობს და თავის კვალს ტოვებს ჩვენი არსებობის სივრცეში. ქალბატონი მაყვალა ხატავს და ძერწავს დიდი სითბოთი და სინაზით აღსავსე სტრიქონებს და ქმნის დასამახსოვრებელ გარემოს-მითუმეტეს,რომ ჩვენ ხშირად არ გვახსოვს ადამიანები, რომლებიც არსებობდნენ, ან მანკიერი ჩვეულებები ხშირად გვაიძულებენ დუმილით ავუაროთ გვერდი მათ არსებობას ან მივჩქმალოთ მათი დამსახურება.

ქალბატონი მაყვალა თავის ახალ წიგნში “დროის კრიალოსანი” ნაირგვარი ხილვების უნარით, გვაიძულებს, ვიფიქროთ, თუ საიდან იღებს დასაბამს მისი ასეთი აქცენტები. ის ახალი ფორმით ამდიდრებს შემოქმედებით სფეროს, რომელსაც წინ უძღვის დაკვირვება, გრძნობების ინდივიდუალური ბუნება, ქმედითობის სხვადასხვა უნარი, რაც მეტად საინტერესოს ხდის მის შემოქმედებას.

ჯანმრთელობა და შემოქმედებითი წარმატებები არ მოკლებოდეს ამ ღირსეულ და შესანიშნავ შემოქმედს.

გივი გელაშვილი

- ევროპის დღეები - 2022 -

საინტერესო შეხვედრა ქვიშხეთში

„ევროპის დღეები 2022“ - ის ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ეზოში, ხაშურისა და ქვიშხეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის საინფორმაციო-შემეცნებითი ღონისძიება გაიმართა.ახალგაზრდებმა ქვეყნის ღირსშესანიშნაობების გაცნობასთან ერთად, მიიღეს ინფორმაცია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესისა და მისი სარგებლის შესახებ.

შეხვედრა, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის

ხელმძღვანელმა თამარა წულეისკირმა და ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის შიდა ქართლის ბიუროს წარმომადგენელმა გახსნეს.

შეხვედრას ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და ხაშურის რესურსცენტრის უფროსი ზვიად გოგუაძე ესწრებოდნენ.

ღონისძების დამსწრე 50-მდე მოსწავლეს ფონდი “ღია საზოგადოება საქართველოს”ევროინტეგრაციის პროგრამის მენეჯერმა ვანო ჩხიკვაძემ საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესი, მნიშვნელობა და პერსპექტივები გააცნო და ამ მიმართულებით მოსწავლეების შეკითხვებს უპასუხა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, მოსწავლეებმა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი მოინახულეს.

„ევროპის დღეები 2022“ 9 მაისს დაიწყო და 25 მაისამდე გაგრძელდება. ევროპის დღეების მიზანია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის შესახებ საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ჩართულობის გაზრდა. მზარდი ანტი-დასავლური პროპაგანდის ფონზე, მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან ინტენსიური დიალოგი და მოქალაქეების აღნიშნულ პროცესში აქტიური ჩართვა, რაც თავის მხრივ, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მიმართ საზოგადოების მხარდაჭერის წინაპირობაა.

ასეთი იქნება განახლებული სკვერი სურამში, 9 აპრილის ქუჩაზე - რკინიგზის სადგურის მიმდებარედ, რეაბილიტაციის შემდგომ.

სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.